

სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია

ზოგადი დებულებანი

1.სკოლის ექიმი სკოლის დამფუძნებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს სკოლის თანამშრომელს.

2.თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ამ ინსტრუქციით, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების, დირექტორის სკოლის ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3.სკოლის ექიმს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის დამფუძნებელი

4.ექიმის სახელფასო სარგო განისაზღვრება ხელშეკრულებით.

ექიმის უფლებები და მოვალეობები

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ექიმი:

1.ახორციელებს ამ ინსტრუქციის შესაბამისად საქმიანობას, უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე არსებული სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებას.

2.ხელმძღვანელობს სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას.

3.აკონტროლებს და ყოველდღიურად ატარებს რეიდებს კლასების, დერეფნების, ბუფეტის, ტუალეტის სისუფთავის შემოწმების მიზნით და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის დირექტორს.

4.თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო

წლის ნორმალურად დაწყებისთვის.

ექიმი ვალდებულია:

1. დადგენილი ჰქონდეს და იცოდეს სკოლის მოსწავლეთა ზუსტი რაოდენობა.
2. მზადყოფნაში ჰქონდეს სანიტარული კუთხით სასწავლო პროცესისათვის სამედიცინო კაბინეტი, სანიტარული წერტილები და ბუფეტი.
3. პირველადი დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს ავადმყოფობის დროს..
4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავს ავადმყოფი მოსწავლეები (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა), იზრუნოს სკოლის სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ექიმს თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში:

1. დირექტორთან შეაქვს წინადადებები სკოლის თანამშრომლების მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და გამოსწორების შესახებ.
2. დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლის სამედიცინო მომსახურების პროცესის სრულყოფის შესახებ.
3. ასრულებს სკოლის დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

დასკვნითი დებულება

1. ინსტრუქცია ამოქმედდეს მისი დამტკიცების დღიდან